საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2020 წლის 26 ივნისი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №155/18
მოსამართლე --- --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

--- --- 2018 წლის 31 მაისის №155 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 15 ნოემბრის №155/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლის მიკერძოებულობაზე და აღნიშნავს, რომ მოსამართლემ სხდომაზე დადგენილად მიიჩნია ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომელსაც მხარე სადავოდ ხდიდა. ამასთან, წინასწარ გამოხატა აზრი საქმესთან დაკავშირებით და 2017 წლის 18 სექტემბრის სხდომაზე აღნიშნა, რომ „თქვენი პოზიცია შეგიძლიათ დააყენოთ უზენაესში თუ გააგრძელებთ დავას“. რაც მხარის შეფასებით მოსაზრების წინასწარ დაფიქსირებაა.

2017 წლის 26 ივლისის განჩინებით მოსამართლემ დაუსაბუთებლად უთხრა უარი მხარეს ექსპერტის დაკითხვაზე. ამასთან, არ შეისწავლა შუამდგომლობები და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიიღო განჩინება საექსპერტო დასკვნების საქმის მასალებიდან ამორიცხვაზე უარის თქმის შესახებ. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ხელი დააფარა ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

25 მაისს, --- --- სარჩელით მიმართა --- --- სასამართლოს --- --- მოპასუხეების - --- --- და --- --- მიმართ და მოითხოვა --- --- --- --- 08.04.2015 წლის №1831364 ბრძანების, 24.04.2013 წლის №--- გადაწყვეტილების, 08.08.2013 წლის №--- ბრძანების, 27.11.2013 წლის №--- ბრძანების, 09.01.2014 წლის №--- ბრძანების, 03.05.2015 №--- ბრძანების, ასევე, --- --- 2013 წლის 17 აპრილის №--- განკარგულების, 2013 წლის 16 სექტემბრის №--- განკარგულების, 2015 წლის 13 მარტის №--- ბრძანების, --- --- დაკავშირებით, --- ---

2013 წლის 8 აპრილის №--- გადაწყვეტილების, 2014 წლის 10 სექტემბრის №--- გადაწყვეტილების და 2015 წლის 23 თებერვლის №--- გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

--- --- სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის განჩინებით --- --- სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად.

--- --- სასამართლოს 2015 წლის 05 აგვისტოს განჩინებით №--- ადმინისტრაციულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მესამე პირად ჩაბმულ იქნა შპს „--- --- “.

--- --- სასამართლოს 2015 წლის 07 აგვისტოს განჩინებით №--- ადმინისტრაციულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მესამე პირად ჩაბმულ იქნენ --- --- და --- ---.

--- --- სასამართლოს 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელე --- --- შუამდგომლობა --- --- --- --- --- --- სახელით --- --- მიერ სასამართლოში წარდგენილი შესაგებლისა და დოკუმენტების საქმის მასალებიდან ამოღებისა და მოპასუხისათვის დაბრუნების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

--- --- სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის განჩინებით №--- ადმინისტრაციულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მესამე პირად ჩაბმულ იქნა --- --- და --- ---.

--- --- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 12 თებერვლის განჩინებით --- --- დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნები, მოპასუხეების - --- --- --- --- და --- --- --- --- მიმართ, --- --- --- --- --- --- 2015 წლის 08 დეკემბრის №--- ბრძანებისა და --- --- --- --- --- --- 2015 წლის 16 ნოემბრის №--- გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე არ იქნა მიღებული სასამართლოს წარმოებაში.

--- --- სასამართლოს 2017 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით --- --- სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა --- --- 2017 წლის 20 მარტს.

--- --- სასამართლოს --- --- 2017 წლის 03 აპრილის განჩინებით (მოსამართლე --- ---) --- --- საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

--- --- სასამართლოს --- --- 2018 წლის 29 მაისის განჩინებით (მოსამართლე --- ---) --- --- საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა --- --- სასამართლოს 2017 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება; უცვლელად დარჩა --- --- სასამართლოს --- --- 2016 წლის 26 იანვრის საოქმო განჩინება ექსპერტების დაკითხვაზე უარის შესახებ.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა --- ---.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 01 ოქტომბრის განჩინებით --- --- საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

--- --- 2018 წლის 07 მაისის №--- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე --- --- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით“ და ამავე მუხლის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მიერ განსახილველი საქმის შედეგის წინასწარ გამჟღავნება, გარდა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიერ კანონის არასწორი განმარტება ან/და გამოყენება, რასაც საფუძვლად უდევს მისი შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა. უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივ შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება გამახვილდეს სამოსამართლო ეთიკის წესებზე. მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოებაში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ჰქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში. ამ თვალსაზრისით, მიუკერძოებლობა უდავო უნდა იყოს, როგორც მოსამართლეების მიერ სამოსამართლო ფუნქციების, ისე სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას... მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები რაიმე სახის უპირატესობის, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე, გადაწყვეტილების მიღებისას, მათ არ უნდა გაითვალისწინონ რაიმე, რაც სამართლის ნორმების გამოყენების ფარგლებს სცდება. საქმის განხილვისას ან თუ მათ საქმის განხილვა

დაევალათ, მათ შეგნებულად არ უნდა მისცენ თავს უფლება გააკეთონ რაიმე კომენტარი, რომელიც საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას მიკერძოების რაიმე ვარაუდსაც კი გამოიწვევს ან შეიძლება გავლენა იქონიოს საქმის სამართლიან განხილვაზე[1].

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების მეორე ღირებულების თანახმად, მიუკერძოებლობა არის მნიშვნელოვანი სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად; ის ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებაზე, არამედ პროცესზეც რომლის შედეგად გადაწყვეტილება მიიღება. ბანგალორის 2.1. პრინციპის თანახმად, მოსამართლემ თავისი სამოსამართლო ვალდებულებები უნდა განახორციელოს წინასწარი კეთილგანწყობის, ტენდენციურობის ან წინასწარ შექმნილი ცუდი აზრის გარეშე.

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო მოვალეობის შესრულებისას მოსამართლე თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარ შექმნილი აზრის ან შეხედულებისაგან. იგი უნდა მოერიდოს ისეთ ქცევას, რომელსაც პროცესის მონაწილენი ან საზოგადოება აღიქვამს წინასწარ შექმნილ შეხედულებად.

საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლის მიერ სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენილად შესაძლო მიჩნევის ფაქტზე. აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ საქმეზე სხდომები გაიმართა 2017 წლის 25 ივნისსა და 27 ნოემბერს, 2018 წლის 22 იანვარს, 12 მარტს, 30 აპრილს, 14 მაისსა და 18 სექტემბერს. სასამართლო სხდომების აუდიო ოქმების მოსმენის შედეგად მოსამართლის მიერ საქმეში არსებული სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენილად მიჩნევის ფაქტი არ დადასტურდა. აღნიშნული საკითხი 2018 წლის 18 სექტემბრის სხდომაზე მხარემ მოსამართლის აცილების საფუძვლად მიუთითა, თუმცა მოსამართლემ განმარტა, რომ მისი მხრიდან მხოლოდ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იქნა მხარეთათვის მოხსენებული სასამართლო სხდომაზე, საქმის მოკლე მიმოხილვის დროს, რაც სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენილად მიჩნევად არ შეიძლება ჩაითვალოს.

ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, წინასწარ შექმნილი განწყობა შეიძლება გამოვლინდეს სიტყვიერი ან ფიზიკური ფორმით. ამის მაგალითებია: ეპითეტები, ინსინუციები, შეურაცხმყოფელი მეტსახელები, უარყოფითი სტერეოტიპების შექმნა, სტერეოტიპებით ნასაზრდოები უხეირო ხუმრობები (მაგ.: სქესის, რომელიმე კულტურისა თუ რასისადმი კუთვნილების შესახებ და სხვ.)[2].

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ საქმეზე აზრი წინასწარ გამოხატა. აღნიშნულთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის 18 სექტემბრის სხდომაზე მოსამართლემ მიმოიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება --- --- აქტთან მიმართებით. აღნიშნულ განჩინებას მოჰყვა მხარეთა მხრიდან სამართლებრივი დისკუსია და განხილვა აქტის სამართლებრივ ბუნებასთან მიმართებით. 11:09:06 საათზე --- --- აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლო არ არის კანონმდებელი და არ არის უფლებამოსილი შეცვალოს კანონი, რაზეც მოსამართლემ აღნიშნა, რომ „აი ეს არგუმენტები უზენაეს სასამართლოში შეგიძლიათ... ნუ თუ გააგრძელებთ დავას, დაასაბუთებთ თქვენს საქმეს...“ ამდენად, სხდომის აუდიო ოქმის მოსმენის შედეგად დადგენილია, რომ მოსამართლე ცდილობდა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს განჩინება გაეცნო მხარეთათვის და აღნიშნული ფრაზა წარმოთქმულ კონტექსტში არ შეიძლება შეფასდეს როგორც მოსამართლის მიერ წინასწარ პოზიციის დაფიქსირება.

---

[1] „მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების, კერძოდ, ეთიკის ნორმების, თანამდებობასთან შეუფერებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის შესახებ”, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) დასკვნა №3 (2002), §21-23 გვ. 5

[2] „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და კომენტარები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი 2015, §58, გვ. 93

რაც შეეხება საექსპერტო დასკვნის საქმიდან ამორიცხვას, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლეთა მიერ, მათი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებათა საქმეზე დართვისა თუ ამორიცხვის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილებების კანონიერებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე --- --- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №155-18 მოსამართლე --- --- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი